

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

პროგრამის სახელწოდება: მცირე ბიზნესის მართვა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მცირე ბიზნესის მართვის მაგისტრი

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 კრედიტი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: სამაგისტრო პროგრამის მიზანია მცირე ბიზნესის სფეროსათვის მოამზადოს მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი ხელმძღვანელი კადრები, რომელთაც ექნებათ მართვის თეორიის ღრმა და სისტემური ცოდნა, ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების, ცალკეული პრობლემების გადაჭრის ახალი და ორიგინალური გზების დასახვის, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელებისა და კარიერული (პროფესიული/აკადემიური) ზრდის უზრუნველყოფი პრაქტიკული უნარ-ჩვევები. პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს სპეციალისტები, რომელთაც ექნებათ: მცირე ბიზნესის ფუნქციონირების, ეკონომეტრიკული მოდელების აგების, საპროგნოზო მაჩვენებლების გაანალიზებისა და გამოყენების მეთოდების, ბიზნეს-ორგანიზაციების სტრატეგიებისა და ანტიკრიზისული ღონისძიებების შემუშავების ღრმა და სისტემური ცოდნა; საფინანსო და საინვესტიციო მენეჯმენტის, საბიუჯეტო და საგადასახადო სისტემების, მმართველობითი აღრიცხვის, საბანკო მენეჯმენტის საკითხების ღრმა თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები. მცირე ბიზნესში ადამიანური რესურსების ეფექტიანი მართვის, ლიდერობისა და გუნდის მართვის ხელოვნების უნარ-ჩვევების გამომუშავება; ბიზნეს სტრუქტურის მარკეტინგული საქმიანობის, ხარისხის მენეჯმენტის, რეკლამის ორგანიზებისა და წარმართვის უნარი. ღრმა და სისტემური ცოდნა სამეწარმეო საქმიანობისა და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობების საკანონმდებლო რეგულირების ნორმებზე და პრაქტიკაში მათი ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინარულ გარემოში გამოყენების უნარი; ბიზნეს საქმიანობაში ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის გათვალისწინების, ეროვნული ეკონომიკაში მცირე ბიზნესის მნიშვნელობის კომპლექსური გააზრების უნარი; დამოუკიდებლად მცირე ბიზნესის მართვის სფეროში სამეცნიერო კვლევების დაგეგმვისა და წარმართვის უნარი.

მცირე ბიზნესის მართვის მაგისტრს შეუძლია მცირე ბიზნესის საქმიანობის განხორციელება, სამეცნიერო სფეროებში, აგრეთვე საჯარო, კორპორაციულ, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებში მუშაობა. შეუძლია დაიკავოს სპეციალისტის პოზიცია გაყიდვებსა და მარკეტინგში, ადამიანური რესურსების მენეჯმენტში, ფინანსებსა და საბუღალტრო აღიჯვანებაში, სტრატეგიულ დაგეგმვაში, შესაძლოა სტაჟიორის სამუშაო ეროვნულ და საერთაშორისო ორგანიზაციებში.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საერთო სამაგისტრო გამოცდები, შიდა საუნვერსიტეტო გამოცდები.

ამ სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის ხარისხი ჰუმანიტარული მეცნიერების რომელიმე დარგში.

მაგისტრატურაში ჩამბარებელს არ მოეთხოვება არავითარი დამატებითი ინ-ფორმაციის წარმოდგენა სამეცნიერო კონფერენციებსა და ექსპედიციებში მონაწილეობის, ან საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში სტაჟირების შესახებ (თუმცა არსებობის შემთხვევაში მიექცევა გარკვეული ყურადღება, ასეთი წინაპირობები მხოლოდ სასურველია და არა სავალდებულო). ამგვარი გამოცდილების მქონე პიროვნებას უპირატესობა პროგრამაზე ჩაბარებისას მიენიჭება მხოლოდ სხვა ერთნაირ პირობებში.

მაგისტრანტს ასევე მოეთხოვება ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე.

უნდა წარმოადგინოთ: ბაკალავრის ხარისხის დიპლომი, სასურველია ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი, პირადობის მოწმობის ასლი, კომპიუტერის ცოდნის სერთიფიკატი

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება:

სამაგისტრო კურსის დამთავრების შემდეგ მაგისტრი ფლობს ღრმა და სისტემურ ცოდნას მცირე ბიზნესის ორგანიზაციის, მართვისა და სტრატეგიული დაგეგმარების სფეროში. მმართველობით აღრიცხვაში, ეკონომეტრიკაში, საფინანსო, საბანკო და საინვესტიციო მენეჯმენტში, ეროვნული და საერთაშორისო ბიზნესის მართვის განვითარების ძირითად ასპექტებში, საბიუჯეტო და საგადასახადო სისტემებში, მრკეტინგში (რეკლამა და ხარისხი), საწარმოს მართვა კრიზისულ სიტუაციებში, ინოვაციურ მენეჯმენტში.

გაღრმავებული აქვს ბაკალავრის დონეზე მიღებული ცოდნა მცირე ბიზნესის მართვის სფეროში, ფლობს სამეწარმეო საქმიანობისათვის საჭირო სამართლებრივ საკითხებს ეროვნულ დონეზე, აცნობიერებს მათ გათვალისწინებას ბიზნესის ფუნქციონირებისას.

მაგისტრი იღრმავებს ცოდნას ისეთ მიმართულებებში, როგორცაა ცოდნის მენეჯმენტი, აგრობიზნესი, კულტურულ ტურიზმი, საერთაშორისო მენეჯმენტი.

აქვს მცირე ბიზნესის მართვის კვლევისთვის საჭირო თეორიული ცოდნა.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

მცირე ბიზნესის მართვის მაგისტრი მიღებული თეორიული ცოდნით შეიძენს შემდეგ უნარებს: მცირე ბიზნესის წინაშე არსებული პრობლემის ანალიზის, შეფასების, ახალი მეთოდებით თანამედროვე ბიზნეს სტრატეგიების შემუშავებისა და გამოყენების; სიტუაციის მიხედვით ადამიანური რესურსების მართვისთვის

საჭირო უნარ-ჩვევებს; ასევე ფინანსური მაჩვენებლების ანალიზის საფუძველზე საწარმოს კრიზისული მდგომარეობის შეფასება, მათემატიკური მეთოდებით ბიზნესის გაკოტრების ალბათობის გაანგარიშება; ანტიკრიზისული მართვის, საინვესტიციო პოლიტიკის, მარკეტინგული კვლევისა და სტრატეგიის შემუშავება, ბიზნეს გარემოს შესაბამისად საწარმოს რესტრუქტურისაციის მოდელის ფორმირება. მცირე ბიზნეს საქმიანობაში საბანკო პროდუქტების შეფასებისა და ეფექტურად გამოყენების უნარი; ქვეყნის ეკონომიკაში მცირე ბიზნესის როლის შეფასების უნარი. მცირე ბიზნესის მართვის მაგისტრი შეძლებს საერთაშორისო დონეზე ფირმის მოქნილობის უზრუნველყოფას და სტრატეგიული პოზიციების შერჩევას.

მცირე ბიზნესის მართვის მაგისტრს ახალ, გაუთვალისწინებელ გარემოში მოქმედება თავის დისციპლინასთან ან მასთან ფუნქციონალურად დაკავშირებულ დარგებსა თუ სფეროებში.

დასკვნის უნარი:

მცირე ბიზნესის მართვის მაგისტრის კვალიფიკაციის მქონე პირს აქვს ინფორმაციის საჯაროდ წარდგენის უნარი, შეუძლია მისი მკაფიოდ დასაბუთება, ექნება სინთეზისა და ანალიზის უნარი, შეუძლია ჩამოაყალიბოს მოსაზრებები, განსაზღვროს პრობლემა და გააანალიზოს გადაჭრის გზები უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით. დამოუკიდებლად ჯგუფის სხვა წევრების შესაძლებლობების გათვალისწინებით დაგეგმოს სამუშაო. შეეძლოს თვითანალიზი, იკამათოს გამოყენებული პრინციპების თაობაზე და მიიღოს ოპტიმალური გადაწყვეტილებები მცირე ბიზნესის მართვაში.

კომუნიკაციის უნარი:

ინფორმაციის მიწოდება ინოვაციური, უახლესი მონაცემების გამოყენებით. შეუძლია დარგობრივი კომუნიკაციის დამყარება პროფესიულ დონეზე აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენაზე. საზოგადოებაში კომპეტენტურად, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე დაუბრკოლებელი საუბარი. თავისი დასკვნების, არგუმენტებისა და კვლევის მეთოდების გამოყენება საინფორმაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გამოყენებით.

სწავლის უნარი:

მაგისტრატურაში მიღებული ცოდნა, კომპეტენცია და უნარები მცირე ბიზნესის მართვის მაგისტრს საშუალებას აძლევს დამოუკიდებლად წარმართოს თავისი საქმიანობა, სტრატეგიულად და მაღალ დონეზე დაგეგმოს როგორ გააგრძელოს სწავლა და სამეცნიერო მუშაობა სპეციალობის მიხედვით.

ღირებულებები:

საზოგადოებრივი ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა. ბიზნეს ურთიერთობებში ეთიკური და სამართლებრივი ნორმების დაცვა. საერთაშორისო და ეროვნული ღირებულებების დამკვიდრებაში მონაწილეობა. ადამიანზე ორიენტირებული ბიზნეს გარემოს შექმნაში მონაწილეობის მიღება.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა: სტუდენტის ცოდნა ფასდება შეფასების მრავალკომპონენტური 100 ბალიანი სისტემით, ცენტრალიზებული შეფასების სისტემა, რომელიც ემსახურება სახელმწიფოში ერთგვაროვანი და თავსებადი სისტემის არსებობას.

სასწავლო უნივერსიტეტს აქვს შემუშავებული შეფასების შემდეგი ქულები:

დასწრება _ 5 ქულა

შუალედური გამოცდა _ 25 ქულა

დასკვნითი გამოცდა _ 30 ქულა

დანარჩენი 40 ქულა გადანაწილდება ცალკეულ კომპონენტ(ებ)ზე თითოეული კურსის ხელმძღვანელის მიერ სილაბუსებში.

შეფასების 100 ქულიანი სისტემა შემდეგი სახით:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი _ მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი

ა.ბ) (B) ძალიან კარგი _ მაქსიმალური შეფასების 81%–90%

ა.გ) (C) კარგი _ მაქსიმალური შეფასების 71%–80%

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი _ მაქსიმალური შეფასების 61%–70%

ა.ე) (E) საკმარისი _ მაქსიმალური შეფასების 51%–60%

ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა _ მაქსიმალური შეფასების 41%–50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა _ მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტი შეფასდება არა მარტო დასკვნითი გამოცდით, არამედ შუალედური შეფასებითაც.

დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს გავიდეს დამატებით გამოცდაზე არანაკლებ 10 დღეში.

შეფასების ტიპებია ტესტირება, ზეპირი გამოცდა, წერილი გამოცდა, კომბინირებული გამოცდები, პრეზენტაცია, სტატია/ესე, ანგარიში (საველე სამუშაო, პრაქტიკის), უწყვეტი შეფასება, თეზისი/საბაკალავრო ნაშრომი

საბოლოო შეფასების აღწერა

ECTS შეფასება	შეფასების 100 ქულის	შეფასების აღწერა
A	91_100	ფრიადი. სასწავლო კურსის ყველა კომპონენტის მოთხოვნა ზედმიწევნით არის შესრულებული. სტუდენტი ავლენს საგნის ღრმა ცოდნას, ერუდირებულა, გააჩნია გამორჩეული ლოგიკური და დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი.
B	81_90	ძალიან კარგი. სასწავლო კურსის ყველა კომპონენტის მოთხოვნა კარგად არის შესრულებული (მცირე ხარვეზებით). სტუდენტი ავლენს საგნის კარგ ცოდნას, ლოგიკურად და დამოუკიდებლად მსჯელობს.
C	71_80	კარგი. სასწავლო კურსის ყველა კომპონენტის მოთხოვნები ძირითადად შესრულებულია. სტუდენტი ავლენს საგნის საკმაოდ კარგ ცოდნას, უმნიშვნელო შეცდომებს უშვებს დამოუკიდებლად მსჯელობისას.
D	61_70	დამაკმაყოფილებელი. სასწავლო კურსის მოთხოვნების შესრულების ხარისხი დამაკმაყოფილებელია (მნიშვნელოვანი ხარვეზებით). სტუდენტი ავლენს საგნის საშუალო დონის ცოდნას. შეზღუდულია შესაბამისი თემატიკის ირგვლივ დამოუკიდებელი მსჯელობისას. .
E	51_60	საკმარისი. სასწავლო კურსის მოთხოვნები შესრულებულია მინიმალურად. სტუდენტი ავლენს საგნის ცოდნას საკმაოდ შეზღუდულ ფარგლებში. დამოუკიდებლად მსჯელობისას უშვებს ბევრ უზუსტობას.
FX	41_50	ვერ ჩააბარა. სასწავლო კურსის მოთხოვნები შესრულებულია მინიმალურად. სტუდენტი ვერ ავლენს საგნის თეორიულ ცოდნას. პრაქტიკულად ვერ მსჯელობს საგნის საკითხების შესახებ.
F	0_40	ჩაიჭრა. მიუხედავად გამოცდაზე დაშვებისა (დაგროვილი აქვს სილაბუსით განსაზღვრული წინასაგამოცდო ქულა) სტუდენტმა კრედიტის მიღებისათვის თავიდან უნდა გაიაროს სასწავლო პროგრამა.